

ნეშადური



№ 12.


ეკველკვირეული ჟურნალი

1907 წ.

რუსეთის მფარველი და მოღვაწე.

მასამ „დუმის“ დეპუტატი საქართველოდან.

2067



ვასილ ჩერქეზიშვილი.

(ახლად არჩეული ქალ. ტფილისის მოურავი).



ვვანი გვავჭარი.

ზნობა და მოძრაობის ბელადები.

—:—

ამას წინად ერთ ჩემ მეგობარ კაცს დედა გარდაეცვალა, რომელიც სოფელში ცხოვრობდა. მეზობლებმა არაფერი დახმარება არ აღმოუჩინეს უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს. როცა იმან მწარე საყვედურით მიმართა ხალხს, უპასუხეს, ერთმანეთის დახმარება ჩვენთვის არავის უქადაგებიაო.

მწარე და ამავე დროს ფრიად საგულისხმიე-

რო ქვეშარიტება გამოიხატა ამ გულ-წრფელად ნათქვამ სიტყვაში. ხალხს უქადაგებდნენ ძველის დანგრევას და კრინტიც არ დაუძრავთ იმის შესახებ, თუ მომავალში რა უნდა აშენდეს, რა გვარი, რანაირი თავისუფლება უნდა დაიმკვიდროს კაცმა ამ წამიერსა და მართლაც წუთი-სოფელში. თქვენ დაანგრეთ და აშენება ჩვენ მოგვანდევითო, — ამბობდნენ ჩვენებურ ძველებური მეთაურები. ხალხი აღჭურვილი იყო მათ მიმართ გულ-წრფელის, ბავ

შურის ნდობით, სრულის იმედით, რომ ბელადები ცუდს არასდგენ ისურვებდნენ მისთვის. ხალხი მოტყუებული დარჩა. მოძრაობის გამძლიალებად, ბრმა შემთხვევის წყალობით, ისეთი ადამიანები დარჩნენ, რომელთა ღირსება, თუ ამას ღირსება დაერქმის, მხოლოდ მხნეობაში გამოიხატებოდა. მაგრამ თვით სიტყვა მხნეობა ფუჭი და უშინაარსია, თუ იმას წინ გონების ლამპარი არ მიუძღვის. უსინათლო წინამძღოლობით მხნეობა მხოლოდ უბედურების წყაროა, როგორც ბრმა, უგუნური ძალა. ზვავიც ხომ ერთობ მხნე, მძლავრი მოკლენაა ბუნებაში, მაგრამ უბედურებისა და აოხრების მეტი არაფერი მოაქვს საწყალ ხალხისათვის.

დღევანდელ მოძრაობას აკლდა უმთავრესი ღირსება—ზნეობრივი მხარე, რაიცა საფესვით მეთაურებს მიეწერება და შემდეგის გარემოებით აიხსნება: როცა მოუმზადებელ, გონება განუვითარებელ ადამიანს, ბრმა ბედი მეთაურობას არგუნებს, იგი უეცრად თავისსა და ხალხის თვალში ამალღდება. იგი წინამძღვარია, მოძრაობის ბელადია, რაიცა გულს ამპარტავნობით, დიადი სიამაყით უყვებს. როგორც ხალხის მიერ წინ წამოყენებული ადამიანი, იგი ჰხედავს, რომ იმის ზურგს უკან ეს ხალხი ჯარად სდგას და იმის წინამძღვრობას, მისგან ხსნასა და შველას ელის. ასეთი საპატრიო ადგილისათვის საჭიროა მართლა პატიოსანი, გულითა და გონებით განვითარებული კაცი, რომელიც თავის ძალას არა ძალადობაზე, არამედ ზნეობრივ გავლენაზე დაამყარებს. ძალიან ხშირად სარდლობა-მოპოვებული პატიოსანი კაციც ირყენება, თავ-მოძვრება ეღვიძება, ჰხედავს თვის გარეშემო მორჩილსა და იმის თვალში შემყურე ხალხს, რაიცა ბრძანებლობის ალ-ქაჯს უღვიძებს გულში და პატიოსნებას თან-და-თან უჩლუნგებს.

რა იტქმის ამის შემდეგ პაწია ადამიანზე, რომელიც თავის პაწია ადგილზე რომ დარჩენილიყო, შეიძლება პატიოსნება შერჩენოდა,—თავის შესაფერ კალაპოტში ჩამდგარს, პატარა, მაგრამ მაინც სასარგებლო საქმე გაეკეთებინა ცხოვრებაში. მაგრამ ზოგჯერ მოხდება ხოლმე კაცობრიობის ისტორიაში, რომ ჟამთა მსვლელობა პაწია ადამიანს დიდ საქმეს დააკისრებს ხოლმე. მაშინ უნდა უყუროთ, როგორ სცდილობს, რანაირად ცოდვილობს პატარა კაცი, რომ, იმისთვის კუთვნილ დიდ ადგილის სიგძეზე გაიჭიმოს, ხალხს დაანახვოს, რომ ეს უკანასკნელი სრულებით არ შემცდარა, როცა იგი თავის მეთაურად დააყენა, რომ ეს ბედნიერად ნაპოვნი და არჩეული ბელადი მართლაც თავის ადგილისათვის ზედ-გამოჭრილი კაცია. დიდი საქმისათვის შინაგან ღირსებასა და დიდებას მოკლებული პაწია ადამიანი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა

გარეგნული დიდება შეინარჩუნოს, არავის დაანახვოს, რომ იგი თავისი ადგილის შესაფერი ადამიანი არ არის და თავისი გარეგნული დიადი ბრძანებლობა შეინარჩუნოს. მუქთად მოპოვებული ძალა და უფლება ერთობ ტკბილია, წინად პაწია კალაპოტში ჩამდგარ ადამიანისათვის. იმის თვალ-წინ ვრცელი ასპარეზი, დიადი სარბიელი გადაიშლება: ჰხედავს დიდ, ამოძრავებულ ხალხს, რომელიც თავისუფლების მოპოებისათვის მორჩილებას ჰპირდება. ყოველსავე შენს ბრძანებას ავასრულებ—ეუბნება ჩაგრულ-დატანჯული და მოთმინება გამოლევული ხალხი, —ოღონდ ჩემ ძველ მზავრელ-მტარვალეზისაგან გამანთავისუფლეო.

რა ქნას ასეთ დიდ ადგილზე დაბძანებულმა პაწია ადამიანმა? იგი თავის დღეში არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა არის ნამდვილი თავისუფლება, რა გზით შეიძლება ამ თავისუფლების მოპოება, ჩაგრული ხალხის განთავისუფლება: არც სურვილი და არც საშუალება ჰქონდა, ესწავლა რამე და პირდაპირ თითქმის დედიშობილა გონებით დიად წინამძღვრობას მოჰკიდა ხელი...

რა არის ამ „გარედდიადი და შიგნით პაწია“ ბელადის თვალში ზნეობა, რომელიც ნამდვილ ძმურ კავშირს ქმნის კაცთა შორის, ქვეშაობით თავისუფლების წყაროს წარმოადგენს ამ წუთი-სოფელში? იგი უარზყოფს, დასცინის ამ ზნეობას, ძველ აღთქმად მიიჩნია, ისეთ დახავსებულ მოძღვრებად, რომელიც იმის თვალში მხოლოდ ძველ ნაშთების გამოფენისათვის თუ ივარგებს, თორემ სხვა არაფერშია გამოსაყენებელი. იმან კარგად იცის, ზნეობა რომ იწამოს და იქადაგოს ხალხში, ეს უკანასკნელი მასაც ამ ზნეობის შესისხლხორცებას, თავისი სიტყვის ასრულებას და წმინდა ცხოვრებას მოსთხოვს. დიდ საქმეში ჩამდგარი, პაწია კაცი განზრახ ერიდება წმინდა ცხოვრებას, კრინტსაც არ დასძრავს იმის შესახებ ხალხში, არსად არ იტყვის, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს საურთიერთო დახმარებას და ხალხში წმინდა ზნეობრივს, ძმურ კავშირს, განზრახ არ ეხება, არ იხსენიებს ზნეობას, რათა ხალხმა იმისი დიდებული ბელადის უწმინდური ცხოვრება გაამართლოს, ცუდი საქციელისათვის ანგარიში არ მოსთხოვოს და იმის ბრძანებლობას უსიტყვოდ, უკრიტიკოდ დაემორჩილოს.

ხალხშიაც არ ებრძვის ეს ჩვენი ბელადი უზნეო საქციელს, სასტიკად არ გამოილაშქრებს ხოლმე იმის წინააღმდეგ და, ერთი სიტყვით რომ გადავსვრად, სწორედ ისე იტყვევს, როგორც დიდ მემამულეების ქომაგი და თვითონაც დიდი მემამულე—ჩვენი მთავრობა. მთავრობა იცავს სასტიკის კანონებით დიდ მემამულეების საკუთრებას, როგორც



წმინდათა წმინდას, და ამავე დროს გლახსაც ემ-
მაკურათ უცხადებს: შენი ერთი დესიატინა ადგი-
ლიც ხელ-შეუხებელი, შენი საკუთრებააო. შენ
უნდა დაიცვა შენის შეიარაღებული მარჯვენით ჩე-
მი აუარებელი და თვალ-უწვდენი მამულები და
სამაგიეროდ მეც შენის შეიარაღებული მარჯვენით
დავიცავ შენს ერთ დესიატინა საკუთრებასაო.

სწორედ ამგვარად დღევანდელი მთავარი ბე-
ლადებიც უსიტყვოდ, თავისი ცხოვრების მაგალი-
თით, უქადაგებენ ხალხს: თქვენ უნდა დაიცვათ
ჩვენი დიადი ცოდვები და უზნეობა და სამაგიეროდ
ჩვენც თქვენში შიგა და შიგ არსებულ ცოდვებ-
სა და უზნეობას დავიცავთო.

ილია ნაკაშიძე.

ლოცვა.

ლოცვა გულს ველარ მიფონებს,
ველარა ჰფერავს ნუგეში,
გულის წყლულს ველარ ჰმაღამობს,
გატანჯულ-მაშვრალთ უბეში!
ველარ ჰფენს იმედს, სხივოსანს,
წმინდა სიტყვები ლოცვისა:
ოქროს კერპს ეთაყვანება
ქურუმი ქვეყნის და ცისა;
სავაჭრო სახლად ქცეულა
ნაზარეველის ტაძარი,
მისი სამსხვერპლო ფულია,
მისი ქურუმი—ვაჭარი!
დეე, ილოცონ ქურუმთა,
ჰღვარონ ცბიერი ცრემლები,
ილოცონ, ეგებ გასუქდენ,
ვით საქათმეში მელები!
მე კი, მე, ველარ ვლოცულობ,
ველარ ვღვრი ცრემლსა მწარესა;
ლოცვა ვერ იხსნის ქვეყანას,
ლოცვა ვერ გაახარებსა!..
ბრძოლა უკუღმართ ცხოვრებას!
ბრძოლა სიბნელის მთესველსა!
ჩაგრულის ლოცვა—ბრძოლაა,
ის გააღიმებს მზებნელსა!..

ვასო.

სიმღერის ძალა.

მე სიმღერა ვარ... გრძნობის მდინარე...
ყველა ყურს მიგდებს ფხიზელ-მძინარე.
დაღონებულთან მეც დავღონდები,
მხიარულს ვეტრფი, ვემსახურები,
სიტყვებით ვქარავ და ვქსოვ მე ღიღინს,
ბავშვებს ვასწავლი საამურ ტიტინს!..

ცის ფრინველივით ქვეყნიერობას
ვაუწყებ ცისკრის მოახლოვებას,
ხალხის ცხოვრება აქ უჩემოდა
ცივ-ბნელ სამარედ გადიქცეოდა.

ა.—

სპარსული სიზრძნე.

ზღვაში უთვალავი საუნჯეა, მაგრამ მშვიდობას
იქ ნუ ეძებ, იგი—ზღვის პირსაა.

* * *

თუ მეფემ თავის ყმის ბაღში ერთი ვაშლი
მოსწყვიტა, კარის კაცნი ვაშლის ხეს ძირიანათ
ამოაგდებენ.

* * *

თუ ძალა არ მოგდევს, ცდა ტყუილია.

* * *

ოთხი კაცი ვერ გასძლებს დიდხანს: მოჩხუბა-
რი, წინდაუხედავი მტარვალი, ტახტის წარმტაცი
და ბედოვლათი.

* * *

იმ უბანში ნუ დასახლდები, საცა ხალხი უვი-
ცია და მლოცავი.

* * *

მუნჯის ენა მტყუანის ენაზედ სასიამოვნოა.

* * *

გულოვან მეგობრების ყოლას, ერდგული
ყმების ყოლა სჯობიან.

* * *

შენს სუფრაზე ისე უნდა სქამო, თითქო მე-
ფის სუფრაზე ხარო.

* * *

ყაზვინ სულთანი იტყ. ადა ხოლმე: მამაცის
შუბისა ისე არ მეშინიან, როგორც დიაცის თითის-
ტარისაო.

ნათარგმნი რიშ ბაბასი.

ბამარჯვებას ტყუილათ ლამობთ!..

ნუ თუ ფიქრობთ, გამაძრჯვეთ, ადადგინეთ ბორცტება?
რა გაცინებთ, გასაჩხანებთ, თითქოს შიკვეთ ქანება?!
ნუ თუ ფიქრობთ, ტანჯულ ხალხსა სამუდამოდ დაიძინა
და თქვენს თამაშს, სიცილ-ხაჩხაჩს ფიანდაზად დეაფინა?
გამაძრჯვებას ტყვილად ღამობთ, ადრე იწვეთ მადლს
ფრენს;
საშიშოა ხალხის ბრახი, მისი ტანჯვა, მისი წყენა!
ნუ თუ ვერ გრძნობთ, ხალხს-გოდაათს ეზმობრება, ეგვი-
ძება,

ტანჯვა-ჩაგვრა, ძალადობა მის ბუნებით ეზიზღება.
ტანჯვისთვის არ დაგინდობთ, ძალს ძალა ეტაკება,
წესად არის მიღებული—ვინც აშაგებს, იგი კვდება...
მაშ, ნუ ხარობთ ადრეულად გამაძრჯვებას წუთიერსა,
დრო მოვა და ხალხის მსჯავრი გასდგევიებთ ვეკლავ-
ფერსა!

მუშა პრ. ბუჯაბაძე.

საგურამო. ილიას გამოსვენება სახლიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგონის საფლავთან.

იყო სიბნელე... ჯანყს და ბურუსს მთლად მოეცვა სამშობლო მხარე... იყო გოდება... ბატონს უკეთურს მონად ჰყვანდა გლეხი მწუხარე: არსით ძახილი, არსაით ხმა არ მოისმოდა, მხოლოდ ბატონთან გლეხის კენესა გამოისმოდა!..

ოჰ, დიდებულო, ტანჯულ ხალხის უკვდავო შვილო, შენ მოველინე წამებულსა შენსა ქვეყანას, თვითონ გვემულო, ტანჯვის ცეცხლში გვემიო გაზრდილო, ხელი მიჰყე შენსა ერსა, შენს დედანას... მოაწყე ჩანგი, ნესტარი ჰკარ სამშობლოს წყლულოსა, გდევნიდნენ, მაინც არ იტეხდი ამითი გულსა! მარტო იყავი!.. ამდენ ხალხში კაცი არ იყო, რომ სიტყვა გეთქვა, იგი სიტყვა ვისმეს სმენოდა, ვიდრე მხნედა და ნატრობდი, შენი ივერი, გენახა თვალით მალალის ზნით, ტკბილბედნიერი... მაგრამ, ბედკრულო, ვერაგულად უღვთოდ მოკლულა, შენის სამშობლოს სიამაყევ, სულა და გულა: ძე შენი ჯერედ იანიჩართა რაზმებში იბრძვის, მშობელს ძუძუს სჭრის, ძმას აღუხპირებს, არ უწყის ვისთვის; ვაჰმე, ძე შენი კვალად ისევ ბრმა-ყრუვი არის, ჯერედ ვერ მცნობი თავისი ბედის—მტანჯველი მწარის...

გიგლოვით შენა?—არა, გლოვნა არ გმართებს შენა: შენებრ მოძღვრებსა ქვეყნად ჰგზავნის მალალი ზენა, რომ ქვეყანას, სულით-ხორციით დაცემულ—მკვდარსა, მიანიჭონ სულიერი შევება და ღზენა... ვიგლოვით ჩვენს თავსა, ჩვენს სიბნელეს, შეუფენებლობას, ვიგლოვით, მხცოვანო, ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს უნდობლობას, ვიგლოვით მეზრძოლთა სულმდაბლობას და დაკნინებას, ვიგლოვით ჩემს თავსა, სცლაჩრესა და დამცირებას...

შენ არ მომკვდარხარ, შენებრ კაცი როდი ჰკვდებიან, სულით ჩვენ შორის მარად მყოფნი, ხორციით ჰქრებიან!..

შენ კი, ოჰ, მკვლელო, ბოროტისგან წარმოშობილო, არარავ, უკეთურო, მხეცად ხმობილო, იყავ წყეული, ჩვენის დროის კანის თესლო, მშობელ ქვეყნისა ვაებაო, მხაპო და გესლო!..

იმედი.

ცოტა რამ გ-ნ ჟარიზის მოღვაწეობაზე.

(წერილი მკითხველისა).

კარგა ხანია, რაც თვალს ვადევნებ ბ. ჟარიზის ლიტერატურულ მოღვაწეობას და ყოველთვის ერთსა და იმავე სურათსა ვხედავ: ვისთანაც კი იმას მოსვლია საპოლემიკო კამათი (უმრავლესობა

შაშვი კაკაბი უეინენე.



რომელი დასტემს ქეზაზე,
მის გამოცნობა ძნელია!

შაშვი კაკაბი უეინენე
ბრძალა მწვავე და ცხელია,

იმის ნაწერებისა ხომ საპოლემიკოა). ყველგან ზე ყოველთვის ბ. ყარბის ბოროტად უხმარია თვისი უტყუარი ნიჭი. „სუფთა წყლის“ დემაგოგობა (თუმცა იგი კრილოვის გმირივით კივაეტ ნა პეტრა), სხვის ნათქვამის გადამახინჯება, უტიფრობა მოპირდაპირისადმი, მისი ვათახსირება (ხშირად დაუმსახურებლად) და ცოცხლადვე დამარხვა (უნებლიეთ გვაგონდება ხოლომე განსვენებულ ჩეხოვის „არატორი“, რომელიც მიცვალებულის მაგიერ, გამოსამშვიდობებელ სიტყვით მიმართავს იმ კაცს, რომელიც გვერდითვე უდგას და მუჯღუფუნებსა სცემს), თავისი თავის კი გაღმერთება და ერთავად ბღაველი „მე“, „მე“-ო,—აი როგორი ჯურის მოკამათე ვახლავსთ ბ. ყარბი; აი ეხლაც, ამ „თვით ხალხში მოჭრიალე“ გმირს, თავი შესკუბებული ჰგონია უმაღლეს კვარცხლობეკზე და იქილგან „სულთა-თანას“ დაბლუის ს.-ფედერალისტების პარტიას და კერძოთ ბ. ლ. ანდრონიკაშვილს. არც ერთს და არც მეორეს შე არ ვეჭომაგები, რასაც არც ერთი მათგანი არ საჭიროებს და ამის არც ძალ-ღონე შემწევს. მე მსურს ზოგიერთი რამ ნანახ-გაგონილი გაუზიარო მკითხველს და მით ცხადყო ბ. ყარბის დამახასიათებელი დემაგოგიური საპოლემიკო ჟინი. გავიხსენოთ თუნდაც ბ. ყარბის-მიერ ნ. ნიკოლაძეზე *) გამართული პანაშვიდები

(იხ. მისი „Оглянемся назадъ“); დაკრძალვა თბილისის ხმონის ბ. ხატისოვისა, მოღვაწეობა ბაქოს პრესაში,—ყველგან და ყოველთვის ის ან „გამარჯვებას“ დღესასწაულობს, ან ქელეხებს მართავს ზე ყველას იწვევს შესანდობრად „დამარხულთადმი“ და იმას კი აღარ ფიქრობს, თუ რა აზრისაა, თვით მიუდგომელი მოსამართლე, მკითხველი საზოგადოება, რამდენად აკისრებს უკანასკნელი ბ. ყარბის მიერ იჯარით აღებულ სულიერ მესაფლავეობას. აი ბოლო დროის ნიმუშებიც: ბ. ყარბი ამბობს: „ფედერალისტებმა შეიგნეს, რომ მათი სიცოცხლის დედა-ძარღვი მხოლოდ ხალხის თვალების აბმა და ცრუ-მორწმუნოების გავრცელებაა“... ან „ქართველმა ფედერალისტებმა, როგორც პარტიამ, დიდი ხანია დაკარგა არსებობის იმედი და დღეს მხოლოდ ამა თუ იმ პირის ავტორიტეტებს ებლაუქება ფონს გასასვლელად“ *) („ჩე. გზა“ № 38) „ს.-ფედერალისტები ბოლომდე დარჩნენ ერთგულ მებოტბეთ ბ. ანდრონიკაშვილისა და მით თავის თავს სასიკვდილო ოქმი შეუდგინეს“. (ბლალო-ჩინივით სულ მკვდრები ეხმანება ბ. ყარბის). „და-

*) აქ ჩემოთვლილ პირთა მოღვაწეობის შესახებ რა აზრისა ვართ,—ეგ სხვა კითხვაა.

*) რომ ს.-დ. მთელი „რეზერვების“ მობილიზაცია უქმნიათ და გაშმაგებული დღითი-დღე ლანძღვა-ბინებით უმასპინძლდებიან თავის ორგანოში ს.-ფედერალისტებს,—ეს უკანასკნელთა ზრდის უტყუარი საბუთია.

მარცხდა ანდრონიკაშვილი (თქვენ თვალში თუ!) და დამარცხდნენ (თუ საქელეხო გახდნენ?) ფედერალისტებიც“. რომელი ერთი უნდა ამოიწეროს კაცმა ამ შაბლონურათ, ს.-დ.-ათ დაწერილ წერილიდან!

ბრბოს დროებითი გაბ რუება, მოტყუება არც ისე ძნელია თქვენებრ მჭევრ-მეტყველ კაცისათვის, ბ. ყარბო, მაგრამ სახელის მოსახვეჭად, სათარეშოთ გახდომა ისეთ კაცისა, როგორიცაა ბ. ლ. ანდრონიკაშვილი, შემკობა იმისი ათასგვარ ეპიტეტებით, ეგ, მგონი, არ უნდა შეეფერებოდეს პირუთვნელ მწერალს, რომელსაცა სურს უმწიკვლო სახელის ტარება...

შიდიღება რამე პირადი უთანხმოება გქონდათ თქვენ ბ. ანდრონიკაშვილთან, ბაქოში მსახურობის დროს, მაგრამ თუ ეს საკმაო საბუთია საქვეყნოდ შეურაცხყოთ ის კაცი, რომელიც (სხვა რომ სულ დავივიწყოთ) იმავე ბაქოში, სახსოვარ ოქტომბრის დღეებში, როცა მე და თქვენ სახლის მყუდროებას ვამჯობინებდით, ის ქუჩაში მოქმედებდა და იბრძოდა იმ ხალხის საკეთილდღეოდ, რომლის აპეკუნობასაც მხოლოდ თქვენ ჩემულობთ. **ბ. ანდრონიკაშვილს იცნობს არა ერთი ასეული მუშა, უსამართლოდ საპრობილეებში ჩამწყვდეული.** და თქვენი საქამანდოდ გაწოდებული ფეხი ისევე დაგრჩებათ, იმას ვერას აენებ.

„ფედერალისტებმა ორჯელ წამოაყენეს ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურა „ვიბორშიკათ“ (შეხეთ, რა მომაკვდინებელი ცოდვა ჩაუდენიათ!), მაგრამ ქება-დიდება არ გასჭრა: ანდრონიკაშვილი ორჯერვე დამარცხდა. (?) მესამეთ (?) კი ფედერალისტებს აუსრულდათ გულის წადილი, ქართველმა მსხვილმა მემამულეებმა ანდრონიკაშვილი „ვიბორშიკათ“ გაიყვანესო“ — დასძენთ. ჯერ ერთი, ამით თქვენ ასაბუთებთ, რომ აწინდელი არჩევნები მსხვილ მემამულე, მესაკუთრე და „პატრიოტების“ ხელში იყო (რაიც ერთ უმთავრეს მიზეზთაგანი იყო ს.-ფ. ბოიკოტისა), მაშასადამე, როგორ ვიფიქროთ, წრეულაც რომ დებუტატებათ ს.-დ. გავიდნენ, ნაშვისი წარმომადგენლები ყოფილან ესენი? და მეორეც, უმთავრესად რა საშუალებით აქნა მოპოვებული წინეთ ანდრონიკაშვილის დამარცხება. — ამაში ისევ შეუგნებელ ბრბოს თუ მოატყუებთ, თორემ ჩვენ და ჩვენთან ერთად თელაველებმა ხომ მაინც კარგად იციან, როგორ გააყვანინეთ ლ. ანდრონიკაშვილის მაგიერ „ცნობილი“ ტყის დარაჯი (აბეშიკი)...

გნებავთ, აიღეთ ეხლანდელი არჩევნებიც: თქვენმა ერთმა „ვიბორშიკათაგანმა“, რომელიც „კანაეოლათ“ იყო კიდევ ორი სხვა უსიტყვო „ვიბორ-

ჩიკებისა“, მოწმების თანადასწრებით, გულწრფელათ აღიარა, რომ მას, შემდეგ, რაც ჩვენ ანდრონიკაშვილი გავიცანით, ცოდო იყო იმის მაგიერად ხმა მიგვეცა ბ. კ. ჩხეიძისათვის (ამით არავის აზრათ არ მოსვლია დამეცირებინა პატივცემული ბ. ჩხეიძე, ან ის მოძღვრება, რომელსაც ჩხეიძე ემსახურება), მაგრამ რა ვუყოთ ნათესაურ და მეგობრულ (არა ჩხეიძისადმი) გრძნობებსა, რომლებმაც გვაიძულესო... და, სხვა რომ არა ვსთქვათ, ორი-სამი ხმა ხომ იქ გადაწყვეტი იყო. ან იქნება თქვენი კაბინეთიდან არა სჩანდა წრევანდელი არჩევნები, როცა ზუბალაშვილის სახლთან ახლოს მთელი მასკარადი იმართებოდა, როცა ერთი და იგივე „ვიბორშიკი“ ხან ერთ სამოსელში წარსდგებოდა და ხან მეორეში. და ამგვარ ფაქტებით სავესე გამარჯვებას — გამარჯვებას ეძახით?!. შიდიღება: „კაცია და გუნებაო“, მაგრამ ნამდვილად გამარჯვება იქ არის, სადაც ზნეობრივი დამაყოფილებაა...

დასასრულ ვკადნიერდები და გიმეორებთ, მე უბრალო მკითხველი: ბოროტათ ნუ ხმარობთ თქვენს უტყუარ ნიჭს: მეტი გულწრფელობა და სიმართლე, ფაქტებზედ დამყარებული მსჯელობა და შებრალება მკითხველის მოთმინებასა, თორემ, საბედნიეროდ, ის დრო გავიდა, როცა მკითხველი სახარების სიტყვისებრ ისმენდა ყოველ ბექტურ სიტყვას. ეხლა კი მკითხველის გაბრუება, დიდი ხნიშ მაინც, ძნელია და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ.

გ. ახალციხელი.

ვირი და ბულბული

(არაკი)

ვირმა ბულბული დაინახა და უთხრა:

— დიდი ხანია არ მინახვინარ და შენი სიმღერა არ გამიგონია. უეჭველია, მას აქეთ, ახალს ჰანგებს ისწავლიდი. აბა, ერთი მოჰყეო!

დაიწყო ბულბულმა, მაგრამ სხვას რას იტყოდა? — ისევ თავისებურათ დასტვინა და ჩაარაკრაკა.

ვირი უსმენდა ყურებ-ჩამოყრილი, დინჯად, დარბაისლურად და, ბულბულმა რომ გაათავა, უთხრა:

— ჰო, ბარაქალლა! განა ტყუილად გეუბნებოდი, შე დალოცვილო, ჩვენს მამალთან ქმევირად შედეგ, მეთქი? ხედავ, რა ახალი ჰანგები უსწავლებია შენთვისა? სად მაშინდელი შენი სიმღერა, სად ახლანდელი!

რეცენზენტი ვირი მაინც ვირია.

რიშ ბაბა.



შოთა რუსთაველს.

წავეითებ მე, რუსთველო, შენი „ვეფხვის-ტყაოსანი“ და გიცანი, რომ ყოფილხარ, შოთავ, ბრძენი და მეოსანი; მოვლენილი ხარ ზეციდან, არ ხარ ამ მიდამოსანი, სხვა და სხვა ხმაზე დაჰმღერი, როგორც ბულბული ხმოსანი.

უძირო ზღვა ხარ სიბრძნისა, სიბრძნის ტალღების მსროლელი, უფასო მარგალიტების თავის ადგილას მწყობელი; გამაუთქმელ გულის თქმისა ხელგუნურათ გამომთქმელი, სხვა, შენს გარდა, არავინ ვიცი, რამე მზგავსის წარმომთქმელი!

„ვეფხვის-ტყაოსნის“ დამწერო, მიჯნურობით ხარ რეული, თამარსა აქებ, მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული; მელნად იხმარე გიშრის ტბა და კალმად—მინა რხეული, როცა ვისმინე, დამასვი ლახვარი, გულსა ხეული!

მინდა, რომ ხოტბა შეგასხა, ღვთაებრივ ნიჭის მქებელი, თუ შევიძელი როგორმე, სწორედ ხარ სადიდებელი; მაგრამ ვის ვაქებ? რას ვაქებ? ვისი ქების ვარ მიხუზველი? არა! ამ საქმეს სჭირია შენფერი შოთა რუსთველი!

ტარიელი ველად დარბის, ავთანდილისგან ხლებული, არაფერი არ დატია, ყველაფერი აქვს რეული; სურს, რომ გაიგოს, ვისბან არს მისი მზე მოტაცებული, ამიტომა ტარიელ შმაგი და გამხეცებული.

არ იცის მრავალ ტანჯულმა, მისთვის როგორი დარია, კვლავ თუ ანათებს მისი მზე. ანდა უდროოა მკედარია; ვაჰ! თუ საწუთრომ უმუხთლა, შავი და თეთრი არია და ამ არეულ ფერებში მისი სინათლეც გარია!

ველად რბის, ხელობს ტარიელ, მისი მზის უნდა მიგნება, ვეფხვისა ტყავი ჩაუცვამს, მით ნესტანი ავანდება; დაუშრეტი ცეცხლით იწვის, იღვეა და იდაგება, ნალია ოდენ ჩრდილისა, ვხედავ ვარდი უმზოთ ჭკნება!

ჰა, ფრიდანიც მოეშველა, მისი ცოდვით აღგზნებული, არვის უშობს ამბვის უთქმელს, გზად თუ ნახა გარებული; ტარიელი ებრალება, ცხვრება ბაარმებული, იცის, რომ ნესტან-დარეჯნით გული აქვს გაალებული.

მარა ბედმა არ უმუხთლა, ვარდი უმზოდ არა ჭკნება, ავთანდილმა მზე მიუგნო, რითაც იგი იფურჩქნება;

ბედნიერი ტარიელი თავის ნესტანს ეგებება, ავთანდილი თინათინსა, ქორწილებიც იმართება...

შენ, ამის დამწერს, რა გითხრა?! ენა მეტყუებოდა, რუსთველი ტახტი გეკუთვნის ოქროსი, პოეტთა საღმრთოებელი; იქ უნდა იჯდე მომადლოდ, ყველასგან საცნობელია, დღეს შენს მსგავსსა, ბრძენთა ბრძენო, ველარ გვაძლევს საქართველო.

თუ გინდ მოვიდეს შექსპირი, მისი ოტელო და ლირით, უკან დასაწევი არ ხარ ტარიელ და ავთანდილით. ერთი ხარ, ღვთაებრივი ხარ, შენი მუსიკანდა ლირით, თვითონ სტირი, მეც მატირებ საწუთროდა დასჯილ გმირით!

შენ მსოფლიო პოეტი ხარ, სასახელო, საქებარი, სიტყვით გულის გამგმირავი, ცეცხლის ალის მომდებარი; ქართველების დიდება ხარ. ყველა ერის საცნობარი, მაგრამ სხვა ხალხს ვინ გადასცეს, შოთავ, შენი ნაუბარი?!

გრიზა გიგინეიშვილი

ზ ი ლ ა ო ბ ა .

— „დღეს საბედისწრო ბრძოლა გვაქვს მე და მოქიშვე „სან—ფარსა“; უნდა გადასწყდეს: გლებ-მუშა შემდეგ დაიჭერს ვის მხარსა.

— „მისთვის მე, „სანდონს“—ყარამანს უნდა შემეხას „სან-ფარი“, თუმც, რა თქმა უნდა, იმისი დამარცხება ხომ მზად არი;

— „და თავისუფლად გლებ, მუშას ვატყუებ, როგორც დღემდეა. სანფარო, ისეთს დღეს შეგყრი, სამს წელსა ლოგინს ლესდეა“!

ქადილით მოდის „სანდონი“, მიწამ დაიწყო ზანზარი. „გაბრთხილდი, სანფარ, შიშისგან არ დაგებნიოს დავთარი“!

თავგამოდებულ დევ-გმირის ტოლად გამოდის სანფარი; არ ჰკრთება, გულდამშვიდებით მტერთან საბრძოლად მზად არი.

სანდონი ეცა გულ-ლაღად, ჰფიქრობს—გააქრობს ელანზე. სანფარი ფრთხილობს, მტრის ფანდებს ერიდება, იწვევს განზე.

შეიტაკნენ: კაპიტალი გასწავლული და გაწვრთნილი და ოდესმ აზატის, ახლა მონად ქმნილის, ერის შვილი.

სანდონს მომხრენი ერთგულათ ტაშს უკრავენ, აქვებენ; ფალაფენის მოიმიედენი აღრევ დღესასწაულობენ.

— განი, ბიჭო, ყურუშსალო, ნოგივით წინ რას მოიწევ? აჯან, სანდონ!.. შაბაშ, სანფარ: ცხვირის წაგლას თავს ვერ აღწევ!

შესანიშნავი სურათები.



სახვლებით ტემპა.

— შენჯღრიე! აგრე, სანდონ,
მძღეთა-მძღეთა ფალავანო!
სარმა გაკარ, მტვერს შერიე
ეგ უმსგავსი და უგვანო!

— ვაშა! რა კობტად მოივდო
მხარზე... შორს, შორს გაისროლე,
ახლად მოვლენილ ფალავანის
ვაქეცობა გააფოლე!

— იფ, გულისა! შეხეთ ბიჭსა:
სად ისროლა სანთარია!?
ბაშხადურ, ჯან, ვენაცალე!
ვინ გყავს ტოლი და ყადრია?

— ბიკოს! დახე ამ წუნწკალას:
ფეხზე დახტა გასროლილი!
ეცი, სანდონ, გვასახელე,
დანარცხე ეგ უნდილი!

— მეგობრების სიამაყევე,
ქვეშ მოივდე უბედური!
აგრე! ახ, დალახვრა მარქსმა,
ხელთ არ გაუძვრა უქმური!


— ჩალოჯე, წელში გასწყვიტე...
დახეთ, რო არა ნებდება!..
თითქო იმ წყეულს ჭიდილში
თანდათან ღონე ეძღვევა

— ჰა, გული გადაგველია
ლოდინით... გძალავს სანთარი?
მიწას გამეტვით ანარცხე,
დაუბნიევი დაეთარი.

— ერთიც!.. ჰა, სცადე, სანდონჯან,
მამა გიცხონდა კარგია!
ნუ დანებდები, თვარ ძველი
სახელი რალას გვარგია!?”

მაგრამ სანდონი ვერ იხსნა
ენგელს-მარქსის სიდიადემ...
სანთარ სთქვა: „ჩემი ჯერია,

შესანიშნავი მესაფლავე.



კაი ბიჭია ვარბი,
მესაფლავეა გულადი,
წინეთ ღიბერადთ ლაქია,—
ახლას ესდეკთა ჰურადი.
მან ნიკოლაძეს, „ისასსა“,
ღრმათ გაუთხანა საფლავე,
ქელესა გადაიხანდა,
ბღამათა ჭქონდა თან ფლავე!
ახლას დამარხს ჩვეულებრ
მან „მოგზაურის“ წერილი,
ილიას ღანძღვა-გინებით
შესავებ-შენათერილი!

გამაგრდი, თვარ ცხვირს ძმარს გაღენ“!
მოივდო მხარზე, ისროლა,
ქორხრზე დაატრიალა;
სანდონს ნაქები გმირობა
გაუთელ-გაუტიალა;
და წელან ხალხისა კერპმა
ახლა დაკარგა ფასია;
შერცხვა და გაათახსირა

ენგელს-მარქსი, წრე, „დასია“.

თავს წამოასხდნენ კოპები.
ცხვირპირი სისხლით ეღება;
მხარი მოსტეხეს და თეძო,
იწვეს და ველარო დგება.
შახს არ იტეხავს. „ვხუმრობდით“!
სიტყვა სთქვა სანდონ ბრჩეულია;
— „ბაღლისა წახალისება
გმირისგან... საქებურია“!
აფერუმ ვაჟას სულგრძელსა,
დამარცხებითაც გმირია!
სანდონ, ხარ სახელოვანი
მით, რომ სირცხვილს არ სტირია!

ჭკიპარტი.

ქართული დასის რეპეტიცია.



კაბეზე რეპეტიცია,
„რემოტკაზე“ სვარძელი,
სააშიძე კუკუსა შვრება—
საქმე არის მეტად ძნელი.
იქ კი ქართული თეატრი
ჯიუტობს, არ შენდება,
ეურზე სძინავს კომისიას—
ან და რისი ენადგუება?!

ბედნიერი.



სასწავლებელში მიიღეს, ბედნიერია ის ამხანაგი,
ჩვენ დაფრხით გაჩეთ,
გვითხრეს: არ არა თავიუსუფაღი თქვენთვის აჯავი.

გუშინ და დღეს.

(მიბაძვა ნ. აზიანისა)

„რაც გუშინ იყო, ის დღეს არ არის“

(„ღალატი“ სუმბათაშვილისა)

- გუშინ—ნაზიანი, დღეს—ბრაზიანი.
- გუშინ—მაბეზერი, დღეს—კაპას-აშარი.
- გუშინ—სულელი, დღეს—დამთხვეული.
- გუშინ—ქალი, დღეს—ალქაჯი.
- გუშინ—იმედიაანი, დღეს—ბნელიანი.
- გუშინ—მწერალი, დღეს—გამწყრალი.
- გუშინ—შურიანი, დღეს—დორბლიანი.
- გუშინ—მთხოვარი, დღეს—ონავარი.
- გუშინ—ცეტი, დღეს—თავში რეტი.
- გუშინ—ნერვიანი, დღეს—ქარიანი.
- გუშინ—გოგონა ცანგალა, დღეს—ჯოჯოხე-

თის მაშხალა.

გუშინ—მოკრძაღე და ზრდილი, დღეს—ქარის
წისკვილი.

- გუშინ—თავაზიანი, დღეს—ავზნიანი.
- გუშინ—გრძელ თიანი—დღეს ენა ღვარძლიანი
- გუშინ დემოკრატი, დღეს—მხოლოდ ბატი.
- გუშინ—ნიჭიერი, დღეს—ნაოჯ დარღვეული.
- გუშინ—ეული, დღეს—გადარეული.
- გუშინ—„ინჯილერი და დობტური“, დღეს—
ყველაფერში იობტური.
- გუშინ—„გაცრუებული იმედები“, დღეს—გაგი-
ქებულის ბნედები.

გუშინ—დანდური, დღეს—ნიშადური.

მონადირე,


ადრეული ვალაყები.

(აკაკის მიბაძვა.)

ერთხელ სადღაცა „ემშაკსა“
ეშოვნა გრძელი „მათრახი“,
ქანდარას შემომჯდარიყო
ის კუდიანი, ახმახი.

ამ დროს, სად იყო სად არა,
გამოტყვრა მსწრაფლად „ეკალი“.
ტარტაროზს თვალი ჩაუკრა,
ქება შეასხა მრავალი.

შესძახა: მაღლი შენს გამჩენს!
რა მშვენიერი რამ ხარო,
„ნიშადურს“ ძალა ლეგია,
ვისწრაფი, ჩქარა გახარო.



შენი „მათრახის“ კირიმე
გული გაქვს ფოლადისაო,
ხმა დიდ-ყურაანთ ჯიშისა
ჩლუნგი კბილები მგლისო“.

თავ-ბრუ დაესხა „ეშმაკსა“
სთქვა: მართალს ამბობს ესაო,
ნიშადურს ვერვინ ამოგვცხებს
ჩვენ დაგვგრძობია პრესაო.

მაგრამ გამოჩნდა ამ დროსა
„ნიშადურისა“ მცხებელი,
ურცხვ „ეშმაკისა“ ტლინკების
შემლახველ—შემარცხვენელი...

ეს „ეშმაკების“ ამბავი
არა ახალი ძველია,
„მათრახს“ რა ველაპარაკო,
„ეშმაკს“ რომ არა რცხვენია!..

ნელიკო.

ვაჭრების ლექსიკონი.

ანგარიში (არითმეტიკა) ისეთი მეცნიერებაა,
რომლის საშუალებით მანათზე ხუთი მანათი მოი-
გება და მყიდველი „ოსმუშკებზე“ და „ვერშკებზე“
გაიყვლიფება ხოლმე.

ალაბი (არშინი) რაც უნდა სწორი იყოს ალა-
ბი, იგი ვაჭრის ხელში უთუოდ ორ-სამ ვერშოკს
იკლებს ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ყოველ ვა-
ჭარს თავისებური არშინი აქვს და იმითი ზომავს.

აბანო სისუფთავისათვის არის მოგონილი ვა-
ჭრებიც ყოველ კვირა დადიან აბანოში ქუქყის
მოსაშორებლად, მაგრამ ერთი რამ ავიწყდებათ:
ქუქყი გარეგანიც არის და შინაგანიც და ამ უკა-
ნასკნელს ვერავითარი აბანო ვერ გაასუფთავებს.

ბანკი დაწესებულებაა, საიდანაც ვაჭრებს ვე-
ქსილით სესხს აძლევენ, მაგრამ ამ ბედნიერებას
ათასში ერთი თუ ეღირსება.

ბოიკოტი ერთათ ერთი საშუალებაა მატყუა-
რა ვაჭრების ასალაგმავათ და მოსარჯულებლათ.

ბოგანო ისეთი მდგომარეობაა, რომელსაც ვა-
ჭარი არასოდეს არ განიცდის, სხვას კი ადვილათ
გახდის ბოგანოდ.

გილდი ორნაირია: პირველი და მეორე. მათ
შორის ის გარჩევა არის, რომ პირველ გილდიის
ვაჭარს უფრო სქელი ჯიბე და მეტი ღიბი აქვს,
ვიდრე მეორე გილდიის ვაჭარს.

გასალება შეიძლება ყოველივე საქონლისა—
უვარგისისა და დამპლისა. ორსავე შემთხვევაში
ვაჭრები მოგებაში არიან, ხოლო მყიდველნი—წა-
გებაში.

გირვანჯა წონის ზომაა, რომელიც ყოველს
მოვაჭრეს ხშირად განახევრებული აქვს და უფროდ
სასწორის ერთ მხარეზე უდევს.
(გაგრძელება იქნება).

ფიშქარი

გ ა მ ო ტ ა ნ ა

—:—

ესდეკის ფალნით მორთულა,
ერთხელ ჰყუფავს შვილსა დღეში,
სხვებს იწუნებს მაიმუნი,
როს იყურება სარკეში;
როცა უნდა გაიცინებს,
როცა უნდა კიდევ სტირის,
ფეხები თხის გამოუბამს
და ყურები დიდი ვირის!
მას მიემატა მეორე,
თავი ესდეკი ჰგონია
ილლით დააქვს ქუჩებში
თვის საყვარელი ქორია;
რომ ცნობა არ გაგიძნელდეთ,
ესეც მის ფერი ჯორია!

ახალი კლუბი

- ახალ კლუბში არ ჩაეწერები?
- ეჰ, მანდედანაც არა გამოვა რა!...
- საკვირველია, რაც უნდა საქმე დავიწყოთ,
მაშინვე ყველა იძახის: ეჰ, არა გამოვა რაო!
- შენგან არ მიკვირს... აბა, რა უნდა გა-
მოვიდეს ქართულ კლუბიდან? ჯერ ნისიად ვსამთ
და ვქამთ და ბუფეჩიკს გავაკოტრებთ. მერე საწვე-
რო ფულს არ შემოვიტანთ და კლუბიც გააკოტრ-
დება.



ეშმაკები საუზმობენ,
ჩაუყრათ ქვაბში საშა,
წვეულებმა ზოგს—გულ-დვირძღა,
ზოგსაც გამოგლიჯეს ფაშა!

ჩვენებური პოლემიკა

ძალიან პოლემიკა გაუმართავთ პოსლიკაანთ ქანქურას და ქანქურაანთ პოსლიკას!... ნეტა ვინ გაიმარჯვებს?.

— რა ვიცი? ალბათ ვინც უფრო უნამუსოა.

„ეშმაკური“ წიგნი.

დარჩო.—„ეშმაკის მათრახს“ არა კითხულობ?

ფირუზ.—არ წამიკითხავს. რასა სწერამენ?

დარჩო.—წაიკითხე, შე მამაცხონებულო, ყველა გაზეთები გააფსა. მთელი სალახანაა და იმას კითხულობენ. სულ სიცილით იხილებიან.

ფირუზ.—მაინც, რასა სწერამენ?

დარჩო.—ძალიან ზორბა რამეებს.

ფირუზ.—მაინც?

დარჩო.—ქვას გახეთქავს.

ფირუზ.—მაინც?

დარჩო.—რაღა მაინც, ერთი ღურაკი რომ უთხრათ, მოჰყვება და... ღურაკ-საბაკ ხონჩა ტაბაკ! ღურაკ-საბაკ-ხონჩა-ტაბაკ!.... ერთს თაბახს გაამსებს, ძალიან ვირ-ეშმაკა ვინმეა ჰააა!

მ ა ს კ რ ო მ ი.

(სხვა და სხვა ჯურისა და სქესის ეშმაკებს)

უბრინციპო, ღვარძლიანი
ყველასია უმადური,
აღსასრულის კართან მდგარსა
მოუხდება „ნიშადური“.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

ოკრიბელს ლამაზი ცოლი მიჰყავდა სახლისაკენ. ჩოხის კალთაში მამალი გამოეხვია, რომელსაც კალთიდან თავი გამოეყო. მათ წამოეწია რაქველი.

— გამარჯობა შენი, ოკრიბელო!

— გაგიმარჯოს ღმერთმა, ლაქვერო!

— ქვე სად მიდიხართ ქი, ქუთაისს ხომ არ მიხვალთ ქი, ჩემი მგზავრი იქნებით.

— ქუთაისს კი არა ჩემო, აგერ მივალთ სოფელში, ქალი მიმყავს თავის სახლობას.

რაქველი მამლის თავს შეხედავს.

— ქვე რა გაქ, ქი, მა კალთაში გამოხვეული?

— რა არი, ჩემო, და ყონყოლია, ყონყოლია.

რაქველი ახლოს მივა და გაოცებული ეკითხება ოკრიბელს.

— აი დალახეროს ჩემმა სამას სამოცდა სამმა წმინდა გიორგიმ, ქვე რასა გამს ქი, ე ყონყოლია თუ რალაცა ჯანაბა?

— ახლო არ მოხვიდე, ჩემო ლაქვერო, თუ რა გიქმენს ყონყოლი, ისე მყავს გამოზდილი თუ ვუთხარი ოთხ კაცს აჯობებს ჩხუბში.

— უი ქი, დამიფაროს ღმერთმა მაგის ახლოს მიკარებისგან ქი.

რაქველი, ვითომ შემინებული, უკან უკან იწევს.

— ნუ გეშინია ჩემო ლაქვერო, მე თუ არ ვუთხარი ისე კი არ გერჩის ყონყოლი!

მგზავრობას განაგრძობენ, რაქველი შორი ახლო მისდევს ოკრიბელს. გზაზე გასასვლელი მდინარე შეხედებათ. ოკრიბელი და მისი ცოლი ფონს ეძებენ, მაგრამ ვერ შეუბედნიათ.

— ქვე რალას უყურებ, რატომ არ გახვალთ წყალში?

— მე ქე გეშინია, ჩემო ლაქვერო, წყალში თვალი წამიხდება, მოდი, ქენი კაი-კაცობა, შეისვი ბეჭე ჩემი ცოლი გაიყვანე, გამობრუნდი და მერე მე გამიყვანე, გასამრჯელოთ ამ ჩემ ყონყოლს ქე გაჩუქებ.

დათანხმდა რაქველი. შეისვა ბეჭე ოკრიბლის ცოლი და გაიყვანა წყალს გაღმა. ქალი ჩამოსვა ძირს, მოხვია ხელი და კოცნა დაუწყო. ოკრიბელი გამოღმოდან უყურებს და გაჯავრებული უყვირის:

— რა შვები, ლაქვერო, რა ღმერთი გიწყობება, გამოდი გამიყვანე წყალში.

რაქველი ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს აღერს. ოკრიბელი უფრო გაჯავრებული უყვირის რაქველს:

— ლაქვერო, ნუ დამაფსებ, ნუ დამისხი ცეცხლზე წყალი, ხელი უშვი მა ქალს, ხელი, თორემ ეს არი, გამოგუშვი ყონყოლი!

გამოიძრობს კალთიდან მამალს, აყინჩამს და ისე მიუბირდაპირებს რაქველს.

რაქველი მოუბრუნდება და გამოსძახებს: გამოუშვი და გაგიწყრა ჩემი გამჩენი! და არშიყობას განაგრძობს.

ოკრიბელი რაქველის შესაშინებლად ისერის ფეხებ შეკრულ მამალს, მამალი რაქველს ზურგზე დაეცემა.

ის წამოდგება, მამალს გულაში ჩაისვამს და გზას გაუდგება.

რაქველი შურდული.





კავკასიის ღირსეული დეპუტატი.



თბილისის სულიკანებმა
არ შეირცხვიანეს პირა,
ტიმფიანის მისცეს „დუმაში“
დაფა-ზურნა და სტვირია!
დაუკრავს, დააგუგუნებს,
თვითონაც მადლა შესტება,
დანგრეულს დარბაზს „დუმისას“
მეშუშეთ გამაადგებს!

ს ა გ უ ლ ი ს ხ ი ი ე რ ო .

(ზობიერთ ესდგეთა პატრესაცემლად.)

ტყეს გასცივდა ფოთოლი,
მთებზე ყვანჩალო სწივის;
საქართველო ობოლი,
თავის ბედზედა სტირის.

სტირის კიდევ იმაზედ,
რომ თავის ღვიძლი შვილი,—
მის ნაშრომზე აღზრდილი,—
წასჯდომია მტრათ, თავზედ.

ნავი.

დასმვადებული გიჩრები.

არიან ბევრნი პარტიის წევრნი,
ტყვილა არიან, არას აკეთვენ;
არა სწამთ ძმობა, უნდათ სხვის გმობა,
და „პარტიასაც“ სახელს უტეხვენ.

მე, სხვათა შორის, ჩემის მეგობრის
ამბავს ვიამბობთ, დასაჯერო,
თუმც იმის მზგავსი (ათი ათასი...),
ეხლანდელ დროში ძლიერ ბევრია.

ეს ვაჟბატონი (ქვეყნის პატრონი),
სიტყვით, პასუხით, საოცარია!
ცხვირზედ „პენსენი“, სხვის შემარცხენი,
ნუ დაივიწყებთ მეგობარია.

სტკეპნის ბულვარსა, ერთდის მრავალსა,
არშიყობაში კი მამაცია,
ბლუზაც შავი აქს, თმაც გაუშვია,
ვითომ „პარტიის“ დიდი კაცია!

არ სწამს ღმერთთა, მისთვის ერთთა
თანასწორ უცქერს გლეხსა და მდიდარს,
არვის დაინდობს, თავის ძმასაც ჰგმობს,
ოღონდ ფულეები ჯიბისკენ იკრას.

ი. გრიშაშვილი.

ჭეშმარიტ რუსთა დეპუტატი „დუმაში“.



ბატონებო მ... მ... მეგ... ურჯა...

ორთა კავშირი.



მკვდარი მკვდარს აკვიდს
მიმიტანე საფლავსკდა,
„ტეშმარტი“ ქვეშ სწენეშის,
„ოქტომბრისტი“ აზის ზედა!

გ ა მ რ ც დ ა ზ ე .

(საბებიო ინსტიტუტში)

მასწავლებელი. ერთი მიბრძანეთ, „ბარიშნა“, რას ეძახიან ხოლმე მეცნიერებაში აღრეულ შობიარებას?

მოსწ. ქალი. აღრეულ შობიარებას ეძახიან ისეთს შობიარებას, რომელიც ქორწინებამდე მოხდება ხოლმე.

მასწავლებელი. ძრიელ კარგი. ეხლა აგვისსენით, რას ეტყვიან ხოლმე დაგვიენებულ შობიარებას?

მოსწ. ქალი. (წარბშეუხრელად) დაგვიანებულ შობიარება იმასა ჰქვია, როცა მშობიარედ ქერივია ხოლმე და ისიც თუ დაქვრივების შემდეგ წელიწადსაც არ გაუვლია!..

მასწავლებელი. ჩინებულია! რას იტყვით არა-სწორ, ურიგო შობიარობაზე?

მოსწავლე ქალი. (დაფიქრდება) ურიგო შობიარება შეემთხვევათ ხოლმე მოსამსახურე ქალებს, გუვერნატკებს, მოახლეებს, ძიძებს და სხვა ამისთანებს...

მასწავლებელი. მოითმინეთ. როგორღაც ვერ გავიგე თქვენი ახსნა. მიზეზები დაასახელეთ, განმარტეთ.

მოსწავ. ქალი. ეხლავე, ბატონო მასწავლებელი. მიზეზი ზემოდ ხსენებულ ქალთა შობიარებისა უნდა იყოს რომელიმე წევრი, ან თვით ოჯახის უფროსი.

მასწავლებელი. ასე რომ, თქვენის განმარტე-

ფხიზელი პოლიცია.



აბა, ჭარქათ, დაიჭით ჩქარა
და ან გაუშვათ, ეგ ავანკი,
შანტაჟისტია... მთავრობისგან,
მოგვავა უველს ჩინი, ტემდაკი!

ბით, შესაძლებელია, ურიგო შობიარება ბებიას არ შეემთხვას?

მოსწ. ქალი. რატომაც არა, თუ კი მასწავლებელი მოისურვებს...

მასწავლებელი. (დაცინვით) საუცხოვოა. თქვენგან ჩინებული, უცვლად განსწავლული ბებია გამოვა.. გამოცდაში ღიახაც გაიმარჯვებო!

ა მ რ ნ ა კ ვ ნ მ ს ი .

მზე სხივსანი, მნათობთა მეფე,
დაშემ მოსწვევითა დაჟვანდ ცაზედა;
მთვარისა სხივთა შესჩერებლად
ჯანდიც გადაწვა მთა და ბარზედა.
თვალი სიბნელეს, წვედიადს ვერს სჭრას...
შეჩერდა თითქმის სიტყვისდას და,
მხოლოდ კი სადღაც ბუი გაჭკვივის,
და ტუის ნადირმაც დაიდრიადა...
მაგრამ ჩუ!.. აგერ ნიაფი ტქვიტი
წამოიშადა, მოჭქრის დადათა,
მაღე, გრიგადად გადაქვეული,
დამზადებს საბრძოლველათა.
შორს გადაჭყვანტავს შავბნელ დრუბებსა,
შუბლს მოუწმენდამს ბირმკრთალ მთვარესა;
და იგი მთვარეც, ნაზის სხივებით
ნათელსა მოჭყენს ანე-მარესა.
და ბნელი დაშეც, მხეტს-სატრფიალო,
მაღე განქრება—დღეთ გადადნება;
სხივსანი მზე, მნათობთა მეფე,
ამობრწვინდება, ამობრძანდება!..

ი. მჭედლიშვილი.

ს ი მ ლ მ რ ა

(ვუძღვნი ნ. კ—ს)

ჩემსა იდეალს, ჩემს მზეს და მთვარეს,
სიცოცხლეს ვსწირავ, მისთვის ვსტირი მე,
მის სამსხვერპლოზე ცრემლს ვღრი მღულარეს.

— მას ვენაცვალე, მისი ჭირიმიე.
მით აღმა მფრენი, ჰირად დიდებას
უარყვობ, ვწირავ ვითა მწირი მე,
უმისოთ ვერ ვგრძნობ თავისუფლებას,
— მას ვენაცვალე, მისი ჭირიმიე.

კაცთ მოყვარებით აღსაყვებ გრძნობას,
გუნდრუკათ ვუკმევ ვითა გმირი მე.
ჩემი სიცოცხლით, განამწარებით

— მას ვენაცვალე, მისი ჭირიმიე.
დე, დამწვან ცეცხლში, დეე, მაწამონ,
მტარვალმა მტანჯოს, ხალხის შეილი მე,
ჩემი ხსენება საზიზღრათ დაჰგმონ
— მას ვენაცვალე, მისი ჭირიმიე!

დ. ელიოზიშვილი.

პ რ ო ჰ ი ნ ც ი ა .

თელავის რამე-რუმე. ბ. რედაქტორო, გთხოვთ
ახლო მომავალში, თქვენს პატივცემულ გაზ. „ნი-
შადურში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს განცხადებას:
შევიტყეთ რა, რომ ყველა საქართველოს კუთხე-
ებში გასწყვიტეს „ნადირი“ და მით ნადირობა მო-
ისპო, ვთხოვთ ყველა ნადირობის მოტრფილეთ
გვეწვივნენ ქ. თელავს, სადაც ნახავენ საუკეთესოდ
მოწყობილ „ოხოთა“-ს. ამ შემთხვევაში აქ სრული
თავისუფლებაა, როგორც ადგილობრივ მემამულე-
თაგან, აგრეთვე მათ დარაჯებისაგან. აი, ამას წი-
ნადაც, შიგ შუა ბაზარში, გამოიგდეს ტერტერა
(კასირი). მან, თუმცა იუკადრისა, როცა იარაღის
ლაპლაბი დაინახა, შეფრთხა და ეცა ხან აქეთ, ხან
იქით, მაგრამ, რადგან წინაღვე მოფიქრებული იყო
და „гай“ კარგათ იყო შეკრული ყველა მხრიდან,
ამისათვის დამფრთხალმა, ორი ჭრილობის შემდეგ,
დასტოვა ას თუმანზე ცოტა მეტი, მით თავი იხსნა
და ეცა ბინისაკენ. ვურჩევთ „ოხოთა“-ს მოყვარეთ
მოაშურონ თელავს. ჯერ ერთი რომ ერთად ნადი-
რობა და ვარჯიშობა უფრო სამხიარულო იქნება
და ნადავლიც ყველას ბლომად შეხვდება,
რადგანაც აქ „კასირები“ ძალიან განშირდა ორი-
ვე სქესისა. ადგილობრივმა პარტიებმა ერთი რი-
გობა მოინდომეს ამ გვარ „ოხოთა“-ს მოსპობა,
მაგრამ, ბევრი თათბირის შემდეგ, ისევ ნება დართეს,
რადგანაც „ახოტნიკები“ ძალიან მახლობელი ნა-
თესავები აღმოჩნდნენ.

იქიდანვე. ვურჩევთ თელავის ბიბლიოთეკის
გამგეთ, როდესაც მათ ბიბლიოთეკის ფულის
შეკრეფა უნდოდეთ, წარმოდგენებზე მართვის
გიერ, თუ სურთ სრული შემოსავალი იყოს, რომ
დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდეს, გამოაცხადონ შე-
მდეგი: „მამობრივი სქესისათვის გამართული იქნე-
ბა პროფერანსი, რამსი, ბალლიარდი; დედობრივი
სქესისათვის — ლოტო-კორიკანობა“. ზოგს ხომ სრუ-
ლიად არა სცალიან წარმოდგენებზე სასიარულოდ,
რადგანაც ეხლა მაქრობა გახლავთ; ვაი თუ მეორე
მოსავალს აღარ დაესწრონ და ამისათვის უნდა ეცა-
დონ, რაც შეიძლება ბევრი დალიონ, ჩაუვთა მუ-
ცელში, თუ არა—ეგ სულ ერთია. რაც შეეხება
ახალგაზდობას—ეს ხომ ყველამ კარგათ იცის, რომ
ისინი უამისოთაც კარგათ ირთობენ თავს ბულგა-
რის „სკამეიკებზე“ აღერსიანი ხვევნა-კოცნით. თუ
მინც და მინც არ დაგიშლიათ და წარმოდგენე-
ბზე გასურთ ძალად ხალხი მირეკოთ, მაშინ გთხოვთ
მიაქციოთ ყურადღება „ნიშადურის“ მე 10 №-ს,
სადაც ასე მარჯვით არის დასურათებული საწყა-
ლი საქართველო, რომელსაც ცემა-ტყეებით მიათრე-
ვენ „ცენტრალიზმში“...—სხვათრივი ცდა უნაყოფოა.
დ—ო

ქ. სოხუმი შარშან, ზაფხულში ქუთაისის ოლ-
ქის სასამართლოს თავმჯდომარემ ბ. ბაკლომ სა-
მსახურიდან გადააყენა ქ. სოხუმის მომრიგებელი-
მოსამართლე ბ. მაჭავარიანი. ბ. მაჭავარიანი ცნო-
ბილი იყო, როგორც პირუთვნელი ადგილობრივ
ზნე-ჩვეულებისა და ენების ზედმიწევნით მცოდნე
მოსამართლე. ბ. მაჭავარიანს ამ ღირსებასთან ის
ღირსებაც ჰქონდა, რომ დილის 9 ს. უკვე კამე-
რაში ნახავდით. საქმეების გარჩევა შუადღის 2-3 ს.
უეჭველში უნდა გაეთავებინა; რა თქმა უნდა, ბ.
მაჭავარიანს თარჯინანი არ ესაჭიროებოდა. ასეთი
ჩვენი ბედნიერება წვრილფეხა ჩინოვნიკებს, ცოტა
არ აყოს, შემურდათ. დაიწყეს, სადაც ჯერ იყო,
„დანოსების“ გზაზე და ამას მოჰყვა ბ. მაჭავარიანის
გადაყენება. სამაგიეროდ ბ. ბაკლომ გამოგვიგზა-
ვნა ვინმე პოპოვი; ალბათ ბ. პოპოვს გაუგონია,
ისეთი პირებისაგან, როგორც თვითან ბრძანდება,
აზიელები გაუნათლებელი ხალხია, მხეცები და, თუ
არ ლანძღვითა და გინებით, მათთან კაცი ვერას
გააწყობსო. შეუდგა თუ არა სამსახურს, ბ. პოპო-
ვი „ასლი“ და „ბარაშკებით“ მიმართა საზოგადოებას,
ბევრი გვლანძღა, მარა ხმაც ვერავინ გასცა. ამასო-
ბაში საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, პასუხი უნ-
და გავცეთ პოპოვსაო. შეიძლება საზოგადოებაში
გავრცელებულმა ხმამ ბ. პოპოვის ყურამდეც მიაღ-
წია; ასე იყო თუ ისე, ბ. პოპოვი დაინახა, რომ აზიე-
ლები არც ისეთი მხეცები ყოფილა, როგორც მას

ეგონა და აი, კიდევ გაანება თავი შეჩვეულ უმე-
რის სიტყვებით ლანძღვას. სამაგიეროდ ბ. პოპოვი
სხვანაირად სტანჯავს საზოგადოებას. მაგალითად,
უწყებაში უწყობის 9 ს. უნდა იყოთ კამერაშიო, თვი-
თონ კი 12ს. მობრძანდება-საქმეს 5—მდე ვერ ათა-
ვებს; ამასობაში ხალხი კი შიშლით იხოცება.
იმედია, ბ. პოპოვი იმ ნაკლსაც გაისწორებს.

კოლხიდელი,

ს. ხიმში. (რაქა) ამას წინეთ აქორი საქველ-
მოქმედო წარმოდგენა გამართეს. ხოლო შემოსავ-
ლით სცენის მოყვარენი გამოისიკნენ. წარმოდგენამ
მშვენივრათ ჩაიარა. სიწყნარე იყო, მაყურებელთ
ჩასძინებოდათ. მოთამაშენი როლის უცოდინარო-
ბისათვის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

რაჭველი შურდული.

ნახული და გაგონილი.

რადგან იარმუკის მექათმეები სასტიკათ ექცე-
ვიან დედლებს, ამისთვის ყველა ქათმეები გაფიცუ-
ლან და კვერცხს აღარა სდებენ; მოითხოვენ ერთ-
ხმად: 1) თითო ქათამზე უკანასკნელი ორი გი-
რკანქა ქერი; 2) დასაღვეათ—ადუღებულნი წყალი; 3)
საქათმეში, რადგან სიცივეა, დაიდვას ფეხი; 4)
ნება ჰქონდეთ ყველა დედლებს თითო ღამე გა-
ტარონ მამლებთან ხაზინებს შუამდგომლობა აღუ-
ძრავთ სადაც ჯერ არს... გადაუწყვეტით ყველა
მოწინააღმდეგე დედლები და მამლები ასტრახანის
გუბერნიისაში გადასახლონ.

— ვაჭარს ნიკოლას დასიზმრებია, რომ ოც
თუმანს სთხოვენ. ნიკოლა კი რის ვაი-ვაგლახით
ათ თუმნათ მორიგებულა. ვადვიძებისას, თურმე,
ნიკოლა ბრაზით გაიძახოდა: ეს ვერანა, ექსპრო-
პრიატორები ცხადლივ არ გვისვენებენ და ახლა
სიხმარშიაც არ გვაყენებენ?!

— წარსულს კვირას, ებრაულ ენაზე წარმო-
დგინეს ახალი პიესა „ცვი“. როგორც გავიგეთ ამ
პიესას საჩქაროთ სთარგმნის ქართულად აკ. ფ—ვა,
რათა არვინ დამასწროსო.

— ცნობილი მამა გ—ვეი, ქეშმარიტ რუსთა
ბელადი და ბაირალტარი, ამ დღეებში, დღე ქარის
დროს, კინაღამ ხიდიჯან გადავარდნილა, მაგრამ
წმინდანების წყალობით დროზე გადარჩენილა: იმ-
დონი ულოცნია, რომ ფრთები გამოსხმია და ტა-
ძარში მიფრენილა.

— რადგან „ძაღლის უბანში“ ძაღლები გა-
ხშირდა და მოსვენებას არ აძლევენ იქაურ მცხო-
ვრებთ, მათ არზა მიურთმევიათ, სადღეც ჯერ არს,
საიდანაც განკარგულება გამოსულა: ყველა ძაღლე-
ბი დაუყონებლივ დატყვევებულ იქმნას და გამა-
სწორებელ რაზმში ჩაირიცხოსო.

— წუთი სოფელს უდროოდ გამოსალმებულს
„ჩვენ გზას“ აღმოუჩენია „წყარო“ მშვენივრად
მწყურვალთა სანუგეშოდ. რა თქმა უნდა უსიცივე-
ხარბად დაეწათებთან წყაროს და ვაი თუ იგი მალე
გაშრეს. სიფრთხილე, ყმაწვილებო!

— ძროხებს და ცხვრებს ბოიკოტი გამოუ-
ცხადებიათ სალახებისათვის და არ ნებდებიან და-
საკლავათ, ვიდრე სალახს ცნობილი დევგმირი ფა-
რსელა ვართანთან ადღეენილ არ იქნება თავის
უფლებებშიო. ამის გამოისობით ყსბები შესაფერ
პეტიციას ამზადებენ ქალაქის საბჭოს განსახი-
ლველად.

— მეხაშე კიკოლიკას განუზრახავს გამოსცეს
ყოველ-კვირეული კარიკატურებიანი ჟურნალი:
„აბდა-უნდა გადასკუპდა“.

— ქუთაისის გასათხოვარ ქალებს კრებაზე
დაუდგენიათ: რადგან მეტი ნაწილი ახალგაზდა—
დასანიშნავ ვაჟებისა შორეულ ქვეყნებში არიან
გადასახლებულნი და ჩვენ გაუთხოვარნი ვრჩებითო,
დაკანონებულ იქმნას, რომ თითო ყმაწვილს ორი-
სამი ცოლის შერთვა შეეძლოსო!..

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო; არიქა,
ვაჟებო, თქვენ იცით!

— ბ-ნ „ემშაკ“, პროვინციების გარდა, ჯო-
ჯოხეთიც დაუთვალეირებია და დიდის მადლობით
მოუკითხავს ავთამყოფი ტარტაროზი (იხ. ნიშადუ-
რი № 2). უთხოვინია კიდევ, რომ ჩქარა მომავლე-
ლე ერთი ათიოდ მარჯვე ეშმაკი თანამშრომლათ
„ემშაკის მათრახში“-ო, თორემ „ნიშადურმა“ კუ-
ლი ამოგვწო და მართალთა შორის არ გვაყენებსო.



— რადგან ხელოვნების წაბილწვისათვის, სცე-
ნის მოყვარეებს წარმოდგენების მართვის ნებას არ
აძლევენ და ისინიც, საღერდელ აშლილნი, მაინცა-
და მაინც თავისას არ იშლიან, ამიტომ სცენის მო-
ყვარეთა კომიტეტს გადაუწყვეტია, დროგამოშვებით,
ჟინის მოსაკლავათ, ყველა სცენის მოყვარეთ გამა-
რთონ ხოლმე თავ-თავიანთ სახლებში ქართული
წარმოდგენები.

— ქართულ ჟურნალ-გაზეთების ბაზარი დღი-
თი-დღე ივსება და ინავება, უკაცრავლი სიტყვაა,
იუმორისტიულ გამოცემებით. ზოგი ტკუა-თხელი
გამომცემელი, კონკურენციის ვირზე შემჯდარი,
ნისიათ არიგებს თავის გამოცემას და, რადგან
ვერც ამ საშუალებამ გასჭრა, ეხლა გადაუწყვეტიათ
მუქათათ აძლიონ მკითხველთ თავიანთი ნაბლაჯნი,
ნაცოხნი, მაგრამ საეკვოა, რომ ამ ოინბაზობამაც
გასჭრას, რადგან ეხლანდელი მკითხველი ადვილათ
არჩევს ყვავს ბულბულისაგან და ნაგავს, დიახაც,
პირს აარადებს.

დ ა რ ვ ი ნ ი ს თ ე ო რ ი ა .

„ყურთუკულმა“

ეროვნული
ბიზლიროთიკა



მესამე „დუმის“ ლიდერი და ტრიბუნალი ზურიშკევიჩი.

გრძელ თმიანების მარსილიეზა.



ზურგი ვაქციოთ „ნიშადურს“,
მას ბოიკოტი გამოფუცხადოთ,
ის გვლანძღავს, გვამხედს და ჩვენს ცოდვებს
ხდის ყველასათვის ნათელ-საცხადოთ!
სამაგიეროთ „ეშმაკის“ ღახტი
ხელში ავიდოთ მარაგება,
მასთან „ეკალსაც“ ვასხუროთ „დუხი“,
ორნი არიან ჩვენს დამცველებათ!

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

დარიგდა გასასყიდად მრავალის ნახატით დასურათებული კრებული (300 გვერდზე მეტია).

გ ი პ რ ე ჯ ე ნ ე რ ი ა



ს ი ა ლ რ ა ე ზ ა მ რ ა ს ა ე მ რ ა ე ზ ე

გამოცემა (მაშო სალარიდის დახმ.) ამხ. „კალმისა“. რედაქცია „მიწისა“.

ფასი ათი შაური. გამოვიდა აგრეთვე ღია დასურათებული ბარათები (открытки) ცალი 3 კაპ. შემოსავლის 25% გადადებულია ილიას ფონდისათვის. უმთავრესი საწყობი ამხ. გამგესთან, გ—გი სალარიდესთან, ტფილისში, ვერის დაღმარზე № 15.